www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2017

მაისი

02.06.2017

www.geostat.ge

02.06.2017

ინფლაცია საქართველოში, 2017 წლის მაისი

2017 წლის მაისში საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებამ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 6,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ინდექსი არ შეცვლილა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში, **წინა თვესთან შედარებით.**

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	-0.4
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	-0.6
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	1.2
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.0
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.0
ჯანმრთელობის დაცვა	0.2
ტრანსპორტი	0.5
კავშირგაბმულობა	-0.1
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.8
განათლება	0.1
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.3
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1.8
ინფლაციის დონე, სულ	**0.0**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის მაისის ინფლაციაში (სულ 0,0%)



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0,5 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,07 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (2,9 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (1,1 პროცენტი);

სხვადასხვა საქონელი და მომსახურება: ფასები გაიზარდა 1,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,08 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია დაზღვევის ქვეჯგუფზე (15,5 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 0,4 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,13 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (-4,9 პროცენტი), ზეთსა და ცხიმზე (-0,7 პროცენტი), შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (-0,4 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა ხილსა და ყურძენზე (2,4 პროცენტი), აგრეთვე ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (2,3 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2017 წლის **მაისის წლიური ინფლაციის** მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	8.3
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	15.0
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-2.7
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	1.2
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.0
ჯანმრთელობის დაცვა	6.7
ტრანსპორტი	17.5
კავშირგაბმულობა	-0.6
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.4
განათლება	1.5
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.0
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.3
ინფლაციის დონე, სულ	**6.6**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის მაისის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 6.6%)



პროცენტული პუნქტი

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

მოცემულ პერიოდში ფასების 8,3 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა **სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების** ჯგუფზე, რაც 2,53 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (30,3 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (11,3 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (10,1 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (8,0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (6,0 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-4,7 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 17,5 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 2,13 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (24,0 პროცენტი), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (11,2 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (6,0 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 15,0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,97 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (31,7 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,4 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,7 პროცენტით, რაც 0,60 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების (16,8 პროცენტი) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (5,3 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.





საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge